უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

[დასკვნის წარმოდგენის თარიღი]

12.03.2026

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებითგათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშისშეფასებისპრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი - *ვასილ*

გვარი - *კიკუტაძე*

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204426834

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ბიზნესის ადმინისტრირება
2	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
3	კვალიფიკაციის დონე[2]	7
4	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120
9	განხორციელების ადგილი[5]	საქართველო, 0186, თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქ. №3
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული 31.01.2025 № 190349
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	31.01.2025
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	31.01.2026
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	31.01.2032

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

კლასტერული რეკომენდაცია

1. რეკომენდებულია გამარტივდეს სწავლის შედეგების ფორმულირება და სტრუქტურა, რათა უზრუნველყოფილ იქნას თითოეული სწავლის შედეგის გაზომვადობა და ყოველი სწავლის შედეგი ფოკუსირებული იყოს ერთ ძირითად საკითხზე

ინდივიდუალური რეკომენდაცია

1. რეკომენდებულია კურსი "სტრატეგიული მენეჯმენტი და მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები" გაიყოს ორ სავალდებულო კურსად: "მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები" და "სტრატეგიული მენეჯმენტი", სადაც "მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები" იქნება "სტრატეგიული მენეჯმენტის" წინაპირობა;
2. რეკომენდებულია "სტრატეგიული მენეჯმენტისა და მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციების" კურსიდან ამოღებულ იქნას თამაშთა თეორიასთან დაკავშირებული საკითხები და მის ნაცვლად შეიქმნას არჩევითი კურსი "თამაშთა თეორია მენეჯერებისთვის";
3. რეკომენდებულია გადაიხედოს "პროექტის მენეჯმენტის" და "ღირებულებათა ჯაჭვის მენეჯმენტის" კურსების წინაპირობები, სადაც წინაპირობად განისაზღვროს კურსი "მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები";
4. რეკომენდებულია სამაგისტრო პროგრამებში გაძლიერდეს სტუდენტების მიერ სამეცნიერო კვლევის ინსტრუმენტების გამოყენება და აკადემიური წერის უნარები.

---

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

შპს ,,სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის“ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 14 თებერვლის №190349 გადაწყვეტილებით, 7 წლის ვადით, 2026 წლის 31 იანვრამდე ანგარიშის წარდგენის პირობით. აკრედიტაციის პროცესში პროგრამის მიმართ გაცემული იქნა ერთი კლასტერული და ოთხი ინდივიდუალური რეკომენდაცია. როგორც, დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, დაწესებულებამ იმუშავა აღნიშნული რეკომენდაციების შესასრულებლად, კერძოდ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ფაკულტეტის დეკანის ხელმძღვანელობით, რომელმაც უნივერსიტეტში დადენილი წესის შესაბამისად მოახდინა პროგრამაში რეკომენდაციების მიხედვით კორექტივების შეტანა. არსებული მდგომარეობით, უნივერსიტეტის მხრიდან აკრედიტაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციები შესრულებულია.

რჩევ(ებ)ი[8]

1. ----------
2. ----------

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

დამატებითი ინფორმაცია[10]

---

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[13]	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია I[14]	**კლასტერული რეკომენდაცია** რეკომენდებულია გამარტივდეს სწავლის შედეგების ფორმულირება და სტრუქტურა რათა უზრუნველყოფილ იქნას თითოეული სწავლის შედეგის გაზომვადობა და ყოველი სწავლის შედეგი ფოკუსირებული იყოს ერთ ძირითად საკითხზე.
შეფასება	შესამოწმებლად წარმოდგენილ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას გააჩნია 8 სწავლის შედეგი. სწავლის შედეგების ფორმირებისას გათვალისწინებულია, როგორც პროგრამის სპეციფიკა, ისე საკვალიფიკაციო ჩარჩო და დარგობრივი მახასიათებელი. პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებისას გამოყენებულია ბლუმის ტაქსონომიური ზმნები, რაც გარკვეულწილად უფრო აღქმადს და გაზომვადს ხდის მოცემულ სწავლის შედეგებს. გამომდინარე აქედან, შესაძლებელია მოცემული კლასტერული რეკომენდაცია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით შესრულებულად ჩაითვალოს.
რჩევა[15]I	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• წარმოდგენილი ანგარიში; • ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა.

---

[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში
[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით
[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[15]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5 სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია II[16]	რეკომენდებულია კურსი "სტრატეგიული მენეჯმენტი და მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები" გაიყოს ორ სავალდებულო კურსად: "მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები" და "სტრატეგიული მენეჯმენტი", სადაც "მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები" იქნება "სტრატეგიული მენეჯმენტის" წინაპირობა;
შეფასება	წარმოდგენილი რეკომენდაციის შესაბამისად დაწესებულებამ მოახდინა ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსის ,,სტრატეგიული მენეჯმენტი და მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები“ რევიზია, კერძოდ განმეორებით იქნა შესწავლილი მოცემული სასწავლო კურსის შინაარსი და არსებული ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით განხორციელდა კურსის შინაარსიდან თამაშთა თეორიის საკითხების ამოღება, შესაბამისად, კურსის სახელწოდება ჩამოყალიბდა როგორც „ინტეგრირებული მენეჯმენტი: კონცეფციები და სტრატეგია“. კურსის სილაბუსის შესწავლის შედეგად, დგინდება, რომ კურსის შინაარსი, სწავლის შედეგები, სწავლების და შეფასების მეთოდები ადექვატურია მოცემული კურსის მიზნების და თავსებადია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნებთან. გამომდინარე ქედან, მოცემული რეკომენდაცია შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.
რჩევა[17]II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• წარმოდგენილი ანგარიში; • ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა; • სასწავლო კურსის „ინტეგრირებული მენეჯმენტი: კონცეფციები და სტრატეგია“ სილაბუსი.

[16]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[17]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

სტანდარტის დასახელება[18]	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[19]	1.5 სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია III[20]	რეკომენდებულია "სტრატეგიული მენეჯმენტისა და მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციების" კურსიდან ამოღებულ იქნას თამაშთა თეორიასთან დაკავშირებული საკითხები და მის ნაცვლად შეიქმნას არჩევითი კურსი "თამაშთა თეორია მენეჯერებისთვის";
შეფასება	დაწესებულებამ წარმოდგენილი რეკომენდაცია გაითვალისწინა, კერძოდ ,,სტრატეგიული მენეჯმენტი და მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები“-ს სასწავლო კურსიდან ამოღებულია თამაშთა თეორიასთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნული საკითხები ჩამოყალიბებულია ცალკე არჩევითი სასწავლო კურსის სახით ,,თამაშთა თეორიის შესავალი“. წარმოდგენილია, ასევე აღნიშნული კურსის სილაბუსი, რომელიც აკმაყოფილებს სილაბუსისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.
რჩევა[21]III	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• წარმოდგენილი ანგარიში; • ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა. • ,,თამაშთა თეორიის შესავალი“ - სილაბუსი;

სტანდარტის დასახელება[22]	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[23]	1.5 სასწავლო კურსი/საგანი
რეკომენდაცია IV[24]	რეკომენდებულია გადაიხედოს "პროექტის მენეჯმენტის" და "ღირებულებათა ჯაჭვის მენეჯმენტის" კურსების წინაპირობები, სადაც წინაპირობად განისაზღვროს კურსი "მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები";
შეფასება	წარმოდგენილი დოკუმენტაციის ირკვევა, რომ დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაცია შეასრულა,

[18]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[19]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[20]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[21]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[22]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[23]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[24]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	კერძოდ დაკორექტირდა ,,პროექტის მენეჯმენტის“ და ღირებულებათა ჯაჭვის მენეჯმენტის“ სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები. მოცემულ კურსებზე დაშვების წინაპირობად განისაზღვრა სასწავლო კურსი - ინტეგრირებული მენეჯმენტი: კონცეფციები და სტრატეგია, რაც ლოგიკურია და აკმაყოფილებს გაცემული რეკომენდაციის მოთხოვნას.
რჩევა[25]IV	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• წარმოდგენილი ანგარიში; • ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა. • ,,პროექტის მენეჯმენტის“ და ღირებულებათა ჯაჭვის მენეჯმენტის“ სასწავლო კურსების სილაბუსები;

სტანდარტის დასახელება[26]	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება[27]	3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
რეკომენდაცია V[28]	რეკომენდებულია სამაგისტრო პროგრამებში გაძლიერდეს სტუდენტების მიერ სამეცნიერო კვლევის ინსტრუმენტების გამოყენება და აკადემიური წერის უნარები.
შეფასება	წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ დაწესებულებამ განახორციელა გარკვეული ცვლილებები აღნიშნული რეკომენდაციის შესასრულებლად, კერძოდ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში მოდიფიცირდა სასწავლო კურსი „აკადემიური წერა მაგისტრანტებისთვის“: მისი მოცულობა გაიზარდა 3 კრედიტიდან 6 კრედიტამდე, ხოლო კურსის სახელწოდება განახლდა შემდეგი სახით: „აკადემიური წერა სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის“. ასევე, ,,სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესში" ფაკულტეტების სპეციფიკის გათვალისწინებით დაზუსტდა ციტირების სტილი. ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკუტეტის სტუდენტებისთვის სავალდებულო გახდა APA

[25]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[26]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[27]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[28]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	სტილის გამოყენება. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია რომ მოცემული რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა[29]V	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• წარმოდგენილი ანგარიში; • ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა. • სილაბუსი „აკადემიური წერა სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის“; • სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესი.

თანდართული დოკუმენტაცია[30]

ექსპერტის ხელმოწერა

[29]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[30]თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა